

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების წესის „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით“ დადგენით. აგრეთვე, იმ ახალი ნორმის შემოღებით, რომლითაც იერარქიის ერთი და იმავე საფეხურზე მდგომ რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება ასევე ერთი საკანონმდებლო აქტით.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების წესის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით“ განსაზღვრა. ამასთან, ახალი ნორმის შემოღება, რომლითაც იერარქიის ერთი და იმავე საფეხურზე მდგომ რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება ასევე ერთი საკანონმდებლო აქტით.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტის პროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების წესი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად, განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით“. ამასთან, ხდება ახალი ნორმის შემოღება, რომლითაც იერარქიის ერთი და იმავე საფეხურზე მდგომ რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება ასევე ერთი საკანონმდებლო აქტით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება რეგლამენტის მოქმედება:
რეგლამენტის პროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) რეგლამენტის მიმართება ევროკავშირის ღირეტივებთან:
რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
რეგლამენტის პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი
რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი
რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია